

**საქართველოს მთავრობის**  
**დადგენილება**  
**N 120            2009 წლის 23 ივნისი    ქ. თბილისი**

**ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი**  
**სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის**  
**წესისა და საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმების**  
**დამტკიცების შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოში სამეცნიერო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 51 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს: *(01.05.2015 N240)*

1. „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესი“ (დანართი №1).

2. „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის მიზნით საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები“ (დანართი №2).

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*ნიკა გილაური*

(დანართი N1)

**ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის**  
**სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესი**

**მუხლი 1.** ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის განვითარების აუცილებელი პირობაა მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებთან მჭიდრო კონტაქტების არსებობა და სამეცნიერო კადრების უწყვეტი შევსება საერთაშორისო სტანდარტების კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა მკვლევარებით.

2. ეს წესი არეგულირებს ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის (შემდგომში – გრანტი) მისაღებად კონკურსის გამართვის, საგრანტო განაცხადის შეფასების, გრანტის გაცემისა და შესრულების ანგარიშგების, მონიტორინგის, საგრანტო პროექტის

დაფინანსების შეზღუდვისა და შეწყვეტის საკითხებს.

#### მუხლი 2. გრანტის მიზნები

1. გრანტის გაცემა მიზნად ისახავს ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას დაფინანსების გზით.
2. გრანტი ითვალისწინებს კონკრეტული პროექტის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სტაჟირების დაფინანსებას.
3. გრანტის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია, დაამყარონ საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტები, გაიღრმავონ გამოცდილება და აითვისონ კვლევის უახლესი ტექნოლოგიები უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

#### მუხლი 3. გრანტის გამცემი უფლებამოსილი ორგანო

1. გრანტის გაცემას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი). (01.05.2015 N240)
2. გრანტის მისაღებად დაინტერესებული პირი ფონდში წარადგენს საგრანტო განაცხადს.
3. ფონდი შეიმუშავებს და ფონდის გენერალური დირექტორი (შემდგომში - დირექტორი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს: (01.05.2015 N240)
  - ა) საგრანტო პროექტის დაფინანსების გაცემის მიზნით გასამართი კონკურსის პროგრამასა და პირობებს;
  - ბ) საგრანტო განაცხადების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადებს;
  - გ) საგრანტო განაცხადის სააპლიკაციო ფორმებს;
  - დ) გრანტით დაფინანსებული პროექტების შესრულების ანგარიშგების ფორმებსა და მონიტორინგის პროცედურას.
4. დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან შემდგარ პროექტების შემფასებელ კომისიას და ადგენს მისი საქმიანობის წესს. (01.05.2015 N240)
5. პროექტების შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს დასაფინანსებლად შერჩეულ საგრანტო პროექტებს. (01.05.2015 N240)
6. ფონდი ახორციელებს გამარჯვებული პროექტების გრანტით დაფინანსებასა და პროექტის განხორციელების შესრულების კონტროლს.

#### მუხლი 4. გრანტით დაფინანსების ძირითადი პრინციპები

1. გამარჯვებული საგრანტო პროექტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებით.

2. დაფინანსების მოსაპოვებლად, საგრანტო განაცხადის წარდგენა შეუძლია საქართველოში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს - ახალგაზრდა მეცნიერს, რომელიც ფლობს ინგლისურ, ან იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას, სადაც იგი გეგმავს სტაჟირების გავლას, აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, რომელიც მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო 7 წლის პერიოდში, ან არის რეზიდენტი, დოქტორანტი და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, აკრედიტებულ და ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. (01.05.2015 N240)

3. გრანტის ფარგლებში, ახალგაზრდა მეცნიერს აუნაზღაურდება საერთაშორისო მგზავრობის, დაზღვევის, ვიზის ხარჯები, მიეცემა ყოველთვიური ფიქსირებული სტიპენდია, რომელიც დაფარავს საცხოვრებელი ბინის, შიდა ტრანსპორტირების, კვების ხარჯებს და საჭიროების შემთხვევაში, დამატებით დაუფინანსდება მასპინძელ ორგანიზაციაში სტაჟირებისათვის მოთხოვნილი სარეგისტრაციო გადასახადი. (01.05.2015 N240)

4. დაფინანსება განხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ფონდი გააფორმებს კონკურსში გამარჯვებული პროექტის წარმდგენ ახალგაზრდა მეცნიერთან.

მუხლი 5. გრანტის გაცემის მიზნით გასამართი კონკურსის ეტაპები და პროექტის შეფასება (01.05.2015 N240)

1. კონკურსის ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) საგრანტო განაცხადის ფონდში წარდგენა;

გ) საგრანტო განაცხადის წინასწარი შერჩევა საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

დ) შერჩეული საგრანტო განაცხადების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან შემდგარი პროექტების შემფასებელი კომისიის მიერ, ამ დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართით გათვალისწინებული საგრანტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;

ე) გამარჯვებული პროექტების დამტკიცება და ხელშეკრულებების გაფორმება.

2. კონკურსის პირობების შესაბამისი საგრანტო განაცხადები შეფასდება ამ დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართით გათვალისწინებული საგრანტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან შემდგარი პროექტების შემფასებელი კომისიის მიერ.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული, „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის მიზნით საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 6. გრანტის შესრულების ანგარიშგება, მონიტორინგი, დაფინანსების

**შეჩერება და შეწყვეტა**

1. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების შესრულების მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს გრანტით დაფინანსებული პროექტის შესრულების კონტროლს როგორც ფინანსური, ისე პროგრამული თვალსაზრისით.

2. კონკურსში გამარჯვებული პროექტის წარმდგენი ახალგაზრდა მეცნიერი ვალდებულია ფონდს წარუდგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიშები ფონდის მიერ დადგენილი ფორმების მიხედვით.

3. ფონდი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდა მეცნიერის დაფინანსება პროექტის ამოცანების შეუსრულებლობის, ყალბი მონაცემების აღმოჩენის, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

დანართი (01.05.2015 N240)

**ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის მიზნით საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები**

№	შეფასების კრიტერიუმი	0 ქულა შეუსაბამო	1 ქულა სუსტი	2 ქულა დამაკმაყოფილებელი	3 ქულა კარგი	4 ქულა ძალიან კარგი	5 ქულა საუკეთესო	შეფასება (მინიჭებული ქულა)
1	რამდენად საფუძვლიანად არის დასაბუთებული სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების გავლის აუცილებლობა უცხოეთში							
2	პროექტის სამეცნიერო ღირებულება, პრაქტიკული მნიშვნელობა და აქტუალურობა							
3	რამდენად სრულყოფილად და ნათლად არის ჩამოყალიბებული პროექტის და კვლევის მიზანი, მეთოდოლოგია და რამდენად განხორციელებადია დაგეგმილი სამუშაო მითითებულ ვადებში							
4	სტაჟირების ადგილის							

	შესაბამისობა სტაჟირების მიზნებთან და სამეცნიერო კვლევასთან							
5	რამდენად მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ როგორ გამოიყენებს და გაავრცელებს გრანტის მიმღები სტაჟირების დროს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას							
6	რამდენად შეუწყობს ხელს სტაჟირება ახალგაზრდა მეცნიერის გრძელვადიან საერთაშორისო თანამშრომლობას							
7	შემოთავაზებული ბიუჯეტის შესაბამისობა და თანადაფინანსება							
8	განმცხადებლის პუბლიკაციები							
9	სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და კვლევით პროექტებში მონაწილეობა							
	<b>ჯამი (მაქსიმუმ 45 ქულა):</b>							

**შენიშვნა:**

- 1 - შესაძლებელია 0.5; 1.5; 2.5; 3.5 და 4.5 ქულების მინიჭება.
- 2 - წელიწადში ერთ გრანტზე 35 000 ლარზე მეტი თანხა არ გაიცემა.
- 3 - ერთნაირი ქულების შემთხვევაში, განიხილება პირველი და მე-2 კრიტერიუმების ჯამური ქულა. ამ კომპონენტის დამთხვევის შემთხვევაში, დაფინანსდება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტი.